

## ფასილიტატი, ფასილიტატორი მასშავლებელი

გურაბ გახანია

ფასილიტატი (ინგლ. facilitate ხელშეწყობა, დახმარება, გაადგილება, წინაშევა) – დახმარება:

- 1) რათა ფსიქოლოგის პლიენტი უკეთ გაერკვეს და გააცნობიეროს საკუთარი ჰვეცნობიერი განცდები, სირთულეები, მათი მიზეზები და შედეგები.
- 2) **მოდერაცია:** კონფლიქტის პირობებში დაპირისპირებულმა მხარეებმა რომ გაუგონ ერთმანეთს, გახდნენ უფრო შემწყნარებელნი ერთმანეთის მიმართ (რაც არ ნიშნავს დათანხმებას! [იხ. გაგება]), კონსტრუქციულად ჩამოაყალიბონ საკუთარი მოთხოვნები, დასაბუთონ საკუთარი ინტერესები და სცადონ საერთო ინტერესების მოძებნა. **მოდერაცია** უფრო კერძო ცნებაა, ვიდრე ფასილიტაცია; მოდერაცია – ერთერთი სახეობის ფასილიტაცია, კერძოდ, **ჰომიერების** დასაცავად გამიზნული.
- 3) ზოგადად ფასილიტატორის მუშაობა. [იხ. აგრეთვე აქტიური მოსმენა].

## ფასილიტატორი

ესაა ის ადამიანი, რომელიც ფასილიტაციას უკეთებს რაიმე სამუშაოს (გაკეთილს, მეცადინეობას, ტრენინგს, ფსიქოთერაპიულ პროცესს, დისპუტს, კონფლიქტის მოგვარებას, თათბირს, სხდომას, დარგობრივ სამუშაო შეკრებას, სემინარს, ექსპერიმენტს, ლაბორატორიულ კვლევას...); ანუ – წარმმართველ-ხელმძღვანელი, რომელსაც ევალება, მონაწილეებს დაეხმაროს საქმის გაკეთებაში (სწავლაში, აღმოჩენაში, განკურნებაში, მორიგებაში, დოკუმენტის შედგენაში...). მაგ., საქმიანი კრების (სხდომის) დროს ფასილიტატორია კრების თავმჯდომარე. ის მხოლოდ წარმმართავს სამუშაოს მსვლელობას, ანაწილებს საკითხებსა თუ შეკითხებს, რიგ-რიგობით აძლევს სიტყვას მონაწილეებს, იცავს გეგმას და ბოლოს შეაჯამებს ნამსჯელ-ნამუშევარს.

ფასილიტატორმა თავისი ავტორიტეტი უნდა გამოიყენოს არა თავისი აზრების მონაწილეთათვის თავსმოსახვევად, არამედ მხოლოდ მუშაობის წარსამართავად: რათა მსჯელობა მიმდინარეობდეს დალაგებულად და აზრიანად, კამათი არ მოსწყდეს ძირითად თემას და არაარსებითში არ გაიფანტოს. ფასილიტატორმა აგრეთვე დროდადრო უნდა შეაჯამოს, მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ნამსჯელი და შეამოწმოს, ყველა მონაწილეს ესმის თუ არა ნამსჯელის არსი. ფასილიტატორი სვამს მისახვედრებელ შეკითხვებს და აღწერს მიმანიშნებელ მაგალითებს [სასწავლო ხარაჩოები]; მონაწილეებს ეხმარება სხვადასხვა გზის მოსინჯვაში,

წამოყენებული არგუმენტის საფუძვლიანობის შემოწმებაში; განუწყვეტლივ ზრუნავს სიცხადესა და მკაფიობაზე – როცა გამოითქმება ბუნდოვანი, ცარიელი ან მეტისმეტად ზოგადი წინადადება, მონაწილეებს აიძულებს, ჯერ თავად კარგად გაიაზრონ, შემდეგ კი დააკონკრეტონ და მკაფიო გახადონ იგი; ეცადონ საკუთარი აზრების ბოლომდე ნათლად გააზრებას და მკაფიოდ ჩამოყალიბებას. ფასილიტატორის კიდევ ერთი არსებითი მიზანია ის, რომ მიაღწიოს მონაწილეთა არა ზედაპირულ, არამედ სიღრმისეულ თანხმობას. უმჯობესია, თანხმობა იყოს სიღრმისეული, თუნდაც ზოგი მონაწილე საერთო დასკვნებს ცალკეულ საკითხებში არ ეთანხმებოდეს. ფასილიტატორმა არ უნდა მიჩქმალოს აზრების სხვადასხვაობა. არსებითი თანხმობის მიღწევის შემდეგ მკაფიოდ უნდა შეაჯამოს (უმჯობესია, მოკლედ თვალსაჩინოდ ჩამოწეროს) საერთო დასკვნები, თუმცა იქვე უნდა გამოკვეთოს ცალკეული განსხვავებული აზრებიც (მაგ., გვერდითა განშტოებაში მიუწეროს).

ცხადია, ფასილიტატორი უნდა იყოს მიუკერძოებელი და ყველას მიმართ თანაბრად კეთილმოსურნე, უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ ყველა მონაწილემ გამოთქვას აზრი და მხოლოდ აქტიურებმა არ ილაპარაკონ [მოდერაცია].

## ფასილიტატორი მასტაგლებელი

ესაა მასწავლებლის ერთერთი როლი (აქტიური სწავლებისას – მთავარი როლი), რომელსაც უპირისპირდება **მენტორი**, **დირექტიული** ან **დიდაქტიკური** მიღებომა. „განვითარება და განათლება არავის არ შეიძლება გადაეცეს ან ეცნობოს. ყველამ, ვისაც სწადია, მათ ეგიაროს, ამას საკუთარი ძალებით, საკუთარი რედუნდითა და ნებისყოფით უნდა მიაღწიოს. გარედან იგი შეიძლება მხოლოდ წახალისდეს და მართებულად იქნეს წარმართული... ამიტომ თვითმოქმედება – საშუალებაცაა და თან ნაყოფიც განათლებისა“ [ა. დისტერვეგი].

აქტიური მეთოდიკით მოჟმავე ფასილიტატორი მასწავლებელი მხოლოდ კრების კარგ თავმჯდომარესავითად – კარგად და ოსტატურად ანაწილებს შეკითხვებს და ბოლოს გამართულად და სრულად შეაჯამებს დასკვნას. ხოლო გაკვეთილის ძირითადი დრო ეთმობა თავად მოსწავლეთა მსჯელობას, მოქმედებას, მუშაობასა და სხვა. ოდონდ მხოლოდ „კრების თავმჯდომარეობა“ არაა საკმარისი. მასწავლებელი ცოტათი მაინც „ფსიქოლოგი“ უნდა იყოს, რათა შეძლებისამებრ (რამდენადაც საშუალებას აძლევს კლასში მოსწავლეთა რაოდენობა) განახორციელოს **ინდივიდუალური მიდგომის** პრინციპი. სულ მცირე, რაც მას მოიუთხოვება ამ მხრივ – ესაა მოსწავლეების უნარ-შესაძლებლობათა მუდმივი

გათვალისწინება. და კიდევ – მასწავლებელი ცოტათი მაინც „მსახიობი“ უნდა იყოს: ქმედითად უნდა იყენებდეს ხელების გამათვალსაჩინოებელ მოძრაობას, პირისახის გამომეტყველებასა და ხმის მიმოხრას.

ამრიგად, სასწავლი საგნის კარგი მასწავლებელი (აქ განვიხილავთ სწორედ საგნის მასწავლებლობას – და არა აღმზრდელ-დამრიგებლობას) – ესაა ძირითადად „კრების კარგი თავმჯდომარე“, რომელიც, ამასთან, ცოტათი „ფსიქოლოგია“ და ცოტათი – „მსახიობი“. სწორედ ესაა მისი შემოქმედებითი სარბიელი. ხოლო სხვა მხრივ ის საუკეთესო შემსრულებელი უნდა იყოს – ზედმიწევნით და გულმოდგინედ ასრულებდეს ყველა მეთოდიკურ მითითებას. თვით სამეტყველო სიტყვა-ტერმინებითაც კი არ უნდა გასცდეს ბავშვის სამყაროს და, რაც მთავარია, წინ არ უნდა გაუსწროს სასწავლო პროგრამას. არ უნდა იხმაროს ის სიტყვები, რომლებიც არაბუნებრივია ბავშვისათვის და ნამდვილი ქართულისათვის (მაგ.: **ფუნქციონირებს, კონფლიქტური, სტაბილური, წინააღმდეგობაში მოხვედი, მენტალიტი** და სხვა მრავალი „სარეველა“).

ახლა ჩამოვაყალიბოთ ისიც, თუ რა არ უნდა იყოს კარგი ფასილიტატორი მასწავლებელი. პირველ ყოვლისა, ესაა „მეცნიერ-ლექტორი“: გრძელი მონოლოგებით, „მეცნიერული“ ტერმინებით, მაღალფარდოვანებით. და აგრეთვე – „ნოვატორ-მეთოდისტი“. ყველანაირად მსარდასაჭერია მასწავლებლის ნოვატორული მეთოდისტური ძიებები და შემოქმედება, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს არა მასწავლებლობისას, არამედ ცალკე, სკოლიდან შინ დაბრუნებისას – თუკი ექნება ამის დრო, ძალ-ღონე და შესაძლებლობა, თანაც, არა მომდევნო გაპვეთილისათვის საჭირო ჩვეულებრივი მომზადების ხარჯზე! მაშინ მეთოდისტობა იქნება მასწავლებლის მეორე საქმიანობა, „შეთავსებით მეორე პროფესია“ – მკვლევარ-მეთოდისტისა. ამგვარმა მასწავლებელმა თავისი ნამუშევარი ჯერ კათედრაზე და ექსპერტებთან უნდა წარადგინოს სამსჯელოდ და დასახვეწად. ხოლო უამისოდ, ნაჩქარევი, ზერელე და თვითნებური „ნოვატორ-მეთოდისტობა“ ძალიან სარისკო რამეა და უფრო ხშირად ბავშვებისათვის საგალალოდ მთავრდება.

ზოგი მასწავლებელი „ნოვატორობს“ და გარეგნულად გაპვეთილებს ფუჭი ზიზილპილოებით ამშვენებს. სინამდვილეში კი გაურბის ან ზერელედ ასრულებს მის მთავარ მოვალეობას – ყოველდღიურ „შავ სამუშაოს“: საგულდაგულოდ მოემზადოს გაპვეთილისათვის, მოწესრიგებული პქონდეს თვალსაჩინოება, კარგად გაასწოროს საკონტროლო ნამუშევრები და მოსწავლეებსაც საფუძვლიანად გაასწორებინოს შეცდომები, იზრუნოს მრავალი მოსწავლის ცოდნასა თუ უნარჩვევებში

არსებულ სარგებთა გამოსახტორებლად და სხვა. ერთი სიტყვით, რუდენება იცვლება ზერელუ გარეგნული ზიზილპიპილოებით, და შედეგიც სათანადოა: მოსწავლეთა ცოდნა და უნარჩვევებიც ზერელეა და ზიზილპიპილოებივით უმაქნისი.

ფასილიტატორი მასწავლებლის მიერ წარმოსათქმელ წინადადებათა უმრავლესობა – **კითხვითი წინადადებებია**, რომლებიც კლასს შეკითხვას უსვამს და დაფიქრებისაკენ მოუწოდებს; დანარჩენთა უმრავლესობა – **ბრძანებითი წინადადებებია**, რომლებიც კლასს რაიმეს ავალებს და მოქმედებისაკენ მოუწოდებს (მაგალითად: გადაშალეთ რვეული, გამოდი დაფასთან, შეავსეთ ცხრილი და სხვა); და მხოლოდ **ძალიან მცირე ნაწილია თხრობითი წინადადებები**, რომლებიც კლასს პასიური მოსმენისა და დამახსოვრებისაკენ მოუწოდებს. რასაკვირველია, ესეც აუცილებელია, მაგრამ ძალიან მცირე ზომით. ისინიც თითქმის ყოველთვის მას შემდეგ წარმოითქმის, რაც თავად მოსწავლეები იტყვიან. შესაძლოა, არაზუსტად, არასრულად, მოუხეშავად – მაგრამ მაინც იტყვიან ისე, რომ ცხადი იქნება – მათ გაიგეს. მასწავლებელი მხოლოდ ამის შემდეგ იტყვის თხრობით წინადადებას, რომელიც, არსებითად, **მხოლოდ გაიმეორებს, დაადასტურებს და დახვეწს მოსწავლეთა მიერ ნათქვამს**. და ესეც – ძალიან ხანმოკლეა, სულ ერთი-ორი მოკლე წინადადება.

გაკვეთილზე მთავარია კარგად დასმულ შეკითხვათა თანწყობა. მხოლოდ ამგვარად, აქტიურად, **დიალოგურად**, შეისწავლება საკითხი. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ მოსწავლეები რამდენად ხშირად სვამენ შეკითხვებს.

### თვალსაჩინო შედარება

განვიხილოთ სამი შესაძლებლობა იმისა, თუ როგორ ვასწავლოთ ასაწყობი კონსტრუქტორით გემის აწყობა.

#### I. მასწავლებელი კითხულობს მინილექციას კონსტრუქტორის აწყობის

სტრატეგიების შესახებ, ან კომპიუტერ-პროექტორით უჩვენებს ეკრანზე (ვითომ თანამედროვე მეთოდი). – ყველაზე უარესი მეთოდი, რომელიც ხშირად გამოიყენება ტრადიციული სწავლებისას როგორც სკოლებში, ისე, განსაკუთრებით, უმაღლეს სასწავლებლებში და ტრუნინგებზეც კი (ტრენინგისთვის განსაკუთრებით მიუღებელია პასიური მეთოდები).

#### II. მასწავლებელი მოსწავლეებს უყვება, უხსნის და პრაქტიკულად უჩვენებს, თუ

როგორ უნდა ააწყონ; შემდეგ რამდენიმე (საუკეთესო შემთხვევაში – ყველა) მოსწავლე მოსინჯავს. – ტრადიციული სწავლებისას უძეთესი მეთოდი.

III. მოსწავლეებს მერხებზე უწყვიათ კონსტრუქტორები (მაგ., წყვილებში მუშაობენ); მასწავლებელი მერხებს შორის დადის და სასწავლო ხარაჩოებით (შეკითხვებითა და მინიშნებებით) ეხმარება მოსწავლეებს, რომლებიც თავად აწყობენ გემს. – საუკუთხო, ინტერაქციული მეთოდი, რომელ შიც მასწავლებელი ნამდვილი ფასილიტატორია.

ხშირად ამბობენ, რომ ასეთი **ინტერაქციული** სწავლება მეტ დროს საჭიროებსო. ამაზე ვრცელი პასუხი უპყვითესობის გვაქვს წინარე სტატიაში „**მოსწავლეზე ორიენტირებულობის პრინციპი**“. ინტერაქციული სწავლების კიდევ ერთი კონტრარგუმენტი ისაა, რომ ხშირად მოსწავლეებს უჭირთ, თავად ააგონ ახალი ცოდნა. ეს მართალია, მაგრამ სწორედ ამის დასაძლევადაა კონსტრუქტივისტული სამფაზიანი მეთოდი. ხოლო თუკი, მიუხედავად კარგად გამართული სამი ფაზისა, და მიუხედავად სასწავლო ხარაჩოებისა, ძლიერმა მოსწავლეებმაც კი ვერ შეძლეს ახალი ცოდნის დამოუკიდებლად აგება ან აღმოჩენა, მაშინ რა ვქნათ? პასუხი მარტივია: მასწავლებელმა მზამზარეული სახით არც ამ შემთხვევაში უნდა მიაწოდოს ახალი ძნელი საკითხი; კლასი ამ საკითხისთვის მზად არ ყოფილა ანუ ეს ახალი ცოდნა ჯერ ნააღრევი ყოფილა და მისი სწავლება უნდა გადაიდოს – შესაბამისად, ჯერ საჭირო **წინარე ცოდნა** და **უნარჩვევები** უნდა განმტკიცდეს; ხოლო იმ ძნელი საკითხის სწავლება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყოს, რაც მოსწავლეები სათანადოდ იქნებიან შემზადებულნი და დამოუკიდებლად შეძლებენ ახალი ცოდნის აგებას – მასწავლებლის დახმარებით ანუ მხოლოდ ფასილიტაციით.

### საბაკვეთილო პილარების კონკრეტული შემთხვევა

საკითხი ეხება ორი გროვის შედარებას: – რომელ გროვაშია რგოლების რაოდენობა მეტი?

მასწავლებელმა ეს შეკითხვა სათანადოდ უნდა განავრცოს, მაგალითად: – **აბა, გელა,** მითხარი, საიდან ვიცით, რომ ეს რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ეს? გარდა ამისა, მასწავლებელის მიერ კარგი გამოთქმით დასმულ შეკითხვას უნდა ახლდეს სათანადო მიმიკა და ხელის მოძრაობებიც („მსახიობობა“). მაგალითად, სიტყვაზე „**ეს**“ მასწავლებელმა თითო უნდა დაადოს სათანადო გროვას; გარდა ამისა, ხელების მოძრაობით უნდა გაათვალისწინოვოს სხვადასხვა სიტყვები, მაგალითად: „**ხაზი**“, „**ძალიან ბევრი**“, „**შემცირდა**“, „**შევკრიბოთ**, **შევაურთოთ**“ და სხვა. განსაკუთრებით დიდხანს უნდა „**იტრიალოს**“ ახალ ან ძნელ საკითხთან დაკავშირებულმა შეკითხვამ.

ამ დროს აღსაკვეთია წამოძახება, **ადსაკვეთია გუნდური პასუხები.** გუნდური პასუხისას ცალკეული მოსწავლის ხმა საერთო მასაშია ჩაკარგული, პასუხებენ

ჟველაზე აქტიური და სწრაფი მოსწავლეები, ხოლო კლასის უმრავლესობა მიჩვეულია, რომ ამ დროს არცენი იფიქროს და მხოლოდ გაიმეოროს წამყვანთა ნათქვამი, არც შეცდომის შესწორების პირობები აქვთ. მასწავლებელმა შეკითხვაზე უნდა აპასუხებინოს ერთ ჯერზე მხოლოდ ერთ მოსწავლეს – ვისაც პირადად მიმართავს (თანაც სახელით, და არა გვარით).

დავუშვათ, რამდენიმე მოსწავლემ აწია ხელი. მასწავლებელმა გადაწყვიტა, ერთერთს ათქმევინოს. რომელს? აქ გასათვალისწინებელია ორი რამ: ერთი ის, რომ შეკითხვებზე პასუხები დაახლოებით თანაბრად იყოს ხოლმე მოსწავლეებზე განაწილებული, თანაც ადვილი შეკითხვა პასიურ მოსწავლეთა გასააქტიურებლად უნდა გამოვიყენოთ. მეორეც, გასათვალისწინებელია შეკითხვის სიმნელე. თუკი საკითხი ახალია, თუკი შეკითხვა ევრისტიკულ ძიებას ემსახურება, მაშინ უპირატესობა უფრო აქტიურ მოსწავლეებს უნდა მივაკუთვნოთ. პასიურები ალბათ ისედაც არ აიწევენ ხელს. მაგრამ ამ ძნელი საკითხის გარკვევის შემდეგ მასწავლებელმა აუცილებლად კიდევ ერთხელ უნდა ჰქითხოს სწორედ პასიურ მოსწავლეს. მასწავლებელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკმაყოფილდეს ერთი აქტიური მოსწავლის პასუხით. ოდნავ შეცვლილი სახით იგივე შეკითხვა უნდა უშუალოდ დაუსვას პასიურ მოსწავლეს: – *რატი, აბა ახლა შენ მითხარი, რატომა წითლების რაოდენობა ნაკლები, ვიდრე თეთრებისა?* არა, თქვენ არ გეკითხებით, მე რატის ვკითხე! აცალეთ, რატიდ იცის და ახლა გვეტყვის. აბა, რატი, როვორ აგვიხსნა ზურიკომ? ...

ახლა, ვთქვათ, მოსწავლემ გვიპასუხა. მასწავლებელმა მოითხოვა დასაბუთება: „*საიდან იცი?*“, ანდა „*რატომ?*“ მოსწავლემ ახსნა, მაგრამ შეემალა. ან კიდევ: ხშირად ხდება, რომ მოსწავლის პასუხი სანახევროდ ან თითქმის მართებული კია, მაგრამ მაინც რაღაც აკლია. ამ შემთხვევაშიც უნდა ვათქმევინოთ სხვას, აქტიურ მოსწავლეს, ოღონდ შემდეგ მართებული პასუხი აუცილებლად უნდა გავამეორებინოთ მას, ვისაც შეემალა. შემდეგ უნდა ვკითხოთ კიდევ ერთს (მაგალითად, შედარებით პასიურ მოსწავლეს), ოღონდ ცოტა სხვაგვარად, მაგალითად, ასე: – *მანანა, ახლა შენ მიჰასუხე, ამ გროვებიდან რომელშია ნაკლები რაოდენობის რვოლები?* რატომ?

**ჯობია, თანაკლასელმა ახსნას – და არა მასწავლებელმა!**

თუკი ვერცერთმა მოსწავლემ ვერ გაგვცა კარგი პასუხი, საჭიროა სასწავლო ხარაჩოებით დახმარება, მაგალითად: – *ამ გროვების რა გავაკუთხო ჩვენ?* {გროვების დაწყვილება} პოდა, აი, შეხედეთ, აქ რა მოგვრჩა? {შავი რგოლი} ესე ივი, რომელ გროვაში ყოფილა უფრო მეტი რაოდენობის რვოლები?

თუკი საკითხი წინა მსჯელობის საბოლოო დასკვნას ეხება, მაშინ მსჯელობა მასწავლებელმაც უნდა შეაჯამოს. მან შედარებით ზოგადი, სრული და გამართული სახით უნდა ჩამოაყალიბოს ის საბოლოო დასკვნა, რომელიც კლასმა უკვე გაარკვია: – *მაშასადამე, იმ გროვის რაოდენობაა მეტი, რომელსაც დაწყვილების შეძლევ მეწყვილეები დააკლდა.*

რომლიდანაც მოვკრჩა წევრები. და რამდენითაა მეტი? სწორედ იმდენით, რამდენიც მორჩა შეწყვილეს გარეშე! (სათანადო მიმკით, ინტონაციით, უსტიკულაციითა და მითითებებით გროვებზე).

### მასშავლებლის ოსტატობის უმთავრესი მაჩვენებლები

სწორედ ამ თანმიმდევრობით

(**კლასის მართვა** თავისთავად ცხადია – მას არ განვიხილავთ)

1) **ფასილიტატორი** – რამდენად ააქტიურებს, ააზროვნებს, დამოუკიდებლად ამუშავებს მოსწავლეებს, რამდენად მეტად ჩანან მოსწავლეები და ნაკლებად – თვითონ; მოსწავლეები რამდენად ხშირად სვამენ შეკითხვებს; რამდენად თანაბრად აძლევს სიტყვას სხვადასხვა მოსწავლეს. – თანაც, არა მხოლოდ ერთი გაკვეთილის ფარგლებში. ესე იგი, მასწავლებელს ისიც უნდა ასხოვდეს, თუ რომელ მოსწავლეებს ალაპარაკებდა თუ ამუშავებდა წინა გაკვეთილზე – რათა ახლა სხვებს დაუთმოს სარბიელი.

2) „**შემსრულებელი**“ – რამდენად სრულად და ზუსტად ასრულებს მეთოდიკურ მითითებებსა და სასწავლო გეგმას; „ჩონჩხს“ რამდენად კარგად „ასხმას ხორცეს“; რამდენად ბოლომდე ჩაეძიება ხარვეზსა თუ ნაკლოვანებას და არ მიაფუჩხებს მას; რამდენად საგულდაგულოდ და ხარისხიანად ასწორებს და აფასებს საკონტროლო თუ საგამოცდო ნამუშევრებს.

3) **ფასილიტატორი** – რამდენად კარგად ანაწილებს და იყენებს საგაპვეთილო დროს, მაგ.: წინასწარ აქვს თუ არა მომზადებული დაფაზე წარწერები და საკლასო თვალსაჩინოება; როცა ერთი მოსწავლე დაფასთან რაიმეს აკეთებს, სხვები უქმდა ხომ არ ჰყავს მოცდენილი და სხვა; რამდენად ინარჩუნებს გაკვეთილისთვის საჭირო რიტმს.

4) „**ფსიქოლოგი**“ – რამდენად ახერხებს ინდივიდუალურ მიღგომას [იხ. **დიფერენცირებული სწავლება**], რამდენად ახერხებს იმას, რომ პქონდეს ურთიერთობა ცალკეულ მოსწავლესთან, რომლის პიროვნებასაც უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ემსჯგალვის, რომლის თავისებურებებსაც ითვალისწინებს და რომელსაც არ ჩაკარგავს საერთო უსახურ „კლასში“. გარდა ამისა, შეკითხვების განაწილებისას უნდა გაითვალისწინოს თვითეული მოსწავლის თავისებურებანი და კონკრეტული გარემოებანი (მაგ., ხასიათის თავისებურებანი, ჯანმრთელობის ან ოჯახის მდგომარეობა).

5) „**ფსიქოლოგი**“ – რამდენად ახერხებს ბავშვის ცნობიერებისათვის ბუნებრივი სამყაროს შექმნას და რამდენად ნაკლებად არღვევს მას მხოლოდ ზრდასრული

ადამიანისათვის ნაშანდობლივი სხვადასხვა სიტყვით, აზრით, ქცევითა და სხვა [იხ. ასაკობრივი თავკერძობა]; რამდენად ქმნის იმის პირობებს, რომ ბავშვის ცნობიერება გადრმავდეს, გამდიდრდეს; შინაგანად, ბუნებრივად განვითარდეს და გაიფურჩქოს, როგორც ლამაზი ყვავილის კოკორი, საკუთარი ბუნებრივი ნიადაგიდან რომ იკვებება და იზრდება და ჯანსაღ ნაყოფს გამოიღებს (რომელიც როგორს შეძლებს!) – და არა უფროსთაგან მოსმენილის დაგროვებით გაბერილი და დამძიმებული, როგორც ხელოვნური სასუქებით უხვად ნაპატივები და გაფუფული ფუჭყვავილა, რომლის ნაყოფი გარეგნულად ვითომ ლამაზია, მაგრამ სინამდვილეში ფუტურო და უგემურია.

6) „**მსახიობი-მეტყველი**“ – როგორია მისი მეტყველება, გამოთქმა, რამდენად გამართული, მდიდარი და წმინდა ენით მეტყველებს; რამდენად კარგად იყენებს ხელების გამომხატველ მოძრაობას, მითითებებს, პირისახის გამომეტყველებას, ხმის მიმოხრასა და სხვა.

7) „**მეცნიერ-მოაზროვნე**“ – რამდენად კარგად ესმის სასწავლი საგნის მეცნიერული, ლოგიკური და შემოქმედებითი მხარეები.

## ამოცანაბი

1. ტრადიციული გაკვეთილი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება:

- I. საშინაო დავალების შემოწმება მერხებს შორის სწრაფი ჩამოვლითა და ერთი-ორი მოსწავლის დაფასთან გაძახებით;
- II. მოედი კლასის „ფრონტალური“ გამოკითხვა (არა ცოდნის შესამოწმებლად);
- III. ახალი საკითხების ახსნა.

ამის გარდა, ხდება:

- IV. მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა და მათი ცოდნის შეფასება.

იშვიათად ტარდება აგრეთვე:

- V. ლაბორატორიული ან სხვაგვარი დამოუკიდებელი სამუშაო.

ამ ხუთი ნაწილიდან რომელი ორის დროსაა მასწავლებლის მუშაობა ყველაზე ახლოს ფასილიტაციასთან?

- ა) II, V;**    **ბ) II, III;**    **გ) I, II;**    **დ) I, III;**  
**ე) I, V;**    **ვ) III, V;**    **ზ) II, IV;**    **თ) IV, V.**

**2.** შემდეგთაგან რომელი შეესატყვისება ყველაზე ნაკლებად ცნებას „ფასილიტატორი”?

- ა)** წარმმართველი;      **ბ)** მიმართულების მიმცემი;      **გ)** მენტორი;  
**დ)** დამხმარე;      **ე)** გამადვილებელი.

**3.** შემდეგთაგან რომელია ყველაზე შორს ფასილიტატორი მასწავლებლის როლისგან?

- ა)** მკაცრია და მომთხოვნი, რადგან ყოველთვის შედეგზეა ორიენტირებული;  
**ბ)** ცდილობს, სწავლების მეთოდი და სასწავლო მასალა მოსწავლის შესაძლებლობებს შეუსაბამოს;  
**გ)** ყურადღებით უსმენს მოსწავლეებს და ცდილობს მათი განცდების გაგებას, თუმცა არასოდეს ცვლის სწავლების მეთოდს;  
**დ)** ხელმძღვანელობს უცვლელი პრინციპებით, უგულებელყოფს მოსწავლის თვალსაზრისს;  
**ე)** მეგობრულ ურთიერთობას ამჟარებს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან;  
**ვ)** ითვალისწინებს კოლეგების აზრს სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით.

**4.** მასწავლებლის დირსებაა არამარტო მის მიერ დასმული შეკითხვების თანწყობა, არამედ, არანაკლებ, მოსწავლეთა მიერ დასმული საქმიანი შეკითხვების სიხშირე.

ამიტომ მასწავლებელს უნდა შეეძლოს იმის გარკვევა, თუ რამდენად უკავშირდება მოსწავლის მიერ დასმული შეკითხვა სასწავლო პროგრამას, აგრეთვე რამდენად არსებითი და მნიშვნელოვანია დასმული საკითხი – თუ მხოლოდ ისეთი წვრილმანია, რომელზეც შეიძლება უბრალოდ თქმა „არ ვიცი, არც მიმაჩნია დიდად საინტერესოდ, მაგრამ თუკი შენ გაინტერესებს, მაშინ ...“

შემდეგთაგან რომელი დაბოლოებაა ყველაზე უარესი ამ წინადადების დასასრულებლად?

- ა)** ხვალისთვის გავარკვევ და გეტყვი;  
**ბ)** ჰკითხე ამა და ამ მასწავლებელს;  
**გ)** გაკვეთილის შემდეგ ერთად გავარკვიოთ;  
**დ)** შეგიძლია, მოიძიო ინტერნეტში ამა და ამ მისამართზე;  
**ე)** შენ თვითონ მოიძიე და გაარკვიე;  
**ვ)** შეგიძლია, ნახო ამა და ამ წიგნში (ამა და ამ ადგილას).

## ავტორი

ზურაბ ვახანია, განათლების მეცნიერებათა აკადემიკოსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგის პროფესორი; საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე; 40-ზე მეტი სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო მონოგრაფიის ავტორი; „საუკეთესო შედეგების მქონე სერტიფიცირებული მასწავლებლის“ სტატუსის მქონე 6 დარგში: ქართული ენა-ლიტერატურა, მათემატიკა, დაწყებითი განათლება, სამოქალაქო განათლება, რუსული ენა და ინგლისური ენა.